GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო პოლიტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი/Master in Public Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, მმართველობის სკოლის საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის სპეციალისტების ჩამოყალიბება.

ასევე პროგრამის მიზანია, მსურველებს მისცეს საშუალება სიღმისეულად შეისწავლონ საჯარო პოლიტიკის მიმართულებები და ძირითადი პრინციპები, საფუძვლიანად შეისწავლონ სახელმწიფო მმართველობის ძირითადი თეორიები და მოახდინონ მათი ანალიზი, დაეუფლონ კვლევის თანამედროვე სტანდარტებს, გაეცნონ საჯარო პოლიტიკის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს და გაიზიარონ დასავლეთის წარმატებული ქვეყნების საერთაშორისო გამოცდილება, რაც აუცილებელია საჯარო სექტორში დასაქმებისა და კარიერული წინსვლისათვის.

სამაგისტრო პროგრამა საჯარო პოლიტიკაში ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საფუძველი მისცეს მომავალ მაგისტრს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის ინტერდისციპლინარულ ხასიათზე, მის კავშირზე სხვა სოციალურ მეცნიერებებთან, რაც მიიღწევა ეკონომიკური, იურიდიული და მმართველობითი მიდგომების კომბინირებით, ლიდერობისა და კომუნიკაციების ტრანსფერული უნარების გადაცემით და საკონცენტრაციო არჩევითი კურსების შეთავაზებით საჯარო პოლიტიკის ოთხ სფეროში (ჯანდაცვის პოლიტიკა, კულტურის პოლიტიკა, გარემოს დაცვის პოლიტიკა და ეკონომიკური პოლიტიკება). საჯარო მმართველობის ხარისხის მინიჭების საფუძველია პროგრამით განსაზღვრული საგნების წარმატებით გავლა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საჯარო მმართველობის მიმართულებით.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვა; 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას; გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამდასტურებელი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS); გასაუბრება მიმღებ კომისიასთან, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრი სიღმისეულად ერკვევა ქართულ და საერთაშორისო სახელმწიფო მმართველობის სისტემებში, ზედმიწევნით იცნობს საჯარო პოლიტიკის მიმართულებებს, თეორიებს, არსებულ პრობლემებს და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე, აქვს უნარი შეაფასოს და ანალიზი გაუკეთოს არსებულ სისტემას მთლიანობაში და შეუმუშაოს პრობლემათა გადაჭრის გზები. მაგისტრი იცნობს საჯარო სექტორის ეკონომიკურ პროცესებს, შესწავლილი აქვს სახელმწიფოს როლი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში. მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკაში, კარგად იცნობს გადასახადებისა და მოსაკრებლების გავლენას ბიუჯეტის შევსების პროცესზე, აფასებს საფინანსო პოლიტიკას საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებაში. მაგისტრს შესწავლილი და გაცნობიერებული აქვს კულტურის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა ან ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები და თავისებურებები, იცნობს დარგში არსებულ პრობლემებს და შესაბამის კანონმდებლობას და ფლობს ინფორმაციას წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების შესახებ. მაგისტრი ფლობს საფუძვლიან ცოდნას კვლევის ძირითად მეთოდებში და სიღმისეულად ფლობს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებსა და ტექნიკებს, მაგისტრი საფუძვლიანად ერკვევა ადმინისტრაციულ და კონსტიტუციურ სამართალში, იცნობს ძირითად საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირებისთვის აუცილებელ საკანონმდებლო ბაზისს, მათ შორის, ერკვევა საარჩევნო კოდექსში, იცნობს საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედ ეთიკის ნორმებს. ამავე დროს, მაგისტრს აქვს სრულყოფილი ცოდნა იმ თეორიებისა და საუკეთესო მაგალითების შესახებ, რომელიც პოლიტიკის ადვოკატირებისა და საჯარო პოლიტიკაში საზოგადოებრივი ჩართულობისთვის არის საჭირო.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრს აქვს მის პრაქტიკაში გამოყენებისა და დანერგვის უნარი. აქვს ახალი იდეების გენერირების უნარი. მაგისტრს აქვს უნარი დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზები საზოგადოებრივი პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად. შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისი ქმედებების განხოციელება. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი

ეთმობა კვლევით კომპონენტს, რაც მაგისტრს აძლევს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ხარისხიანი ანალიტიკური დოკუმენტებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

სასწავლო პროცესის განმავლობაში განმავლობაში მაგისტრი ეფექტურად იყენებს საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროში მიღებულ თეორიულ ცოდნას და აქვს უნარი ეს ცოდნა გამოიყენოს მმართველობითი პროცესის განმავლობაში. მაგისტრებს შეუძლიათ არჩეული მოდულების (ეკონომიკური, კულტურის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის) ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპლექსურად გამოიყენონ პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური თეორიები სხვადასხვა პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების დროს. მაგისტრი სრულყოფილად გეგმავს და ახორციელებს კვლევით სამუშაოებს, შეუძლია საჭირო მასალის მოძიება, შეფასება და ანალიზი, საკუთარი მოსაზრებების ლოგიკურად ჩამოყალიბება. მას ასევე აქვს უნარი ისეთი გამოყენებითი უნარების მეშვეობით, როგორებიცაა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, მეორად მონაცემებთან მუშაობა და მათი ანალიზი, პრეზენტაციის მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვლევითი სამუშაოს ჩატარება, ასევე თეორიული და პრაქტიკული დასკვნების გამოტანის უნარი გამოყენებით სტატისტიკის მეშვეობით.

მაგისტრს შეუძლია მნიშვენლოვანი პროექტის დაგეგმვა და შემუშავება, ასევე აქვს უნარი განსაზღვროს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები, საჯარო პოლიტიკაში ადვოკატირების განხორციელებისა და შესაბამისი სტრატეგიების განსაზღვრის უნარი

დასკვნის უნარი:

მაგისტრი ფლობს პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან (თუნდაც არასრული) ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მაგიტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით და მის საფუძველზე შეუძლია სინთეზირებული დასკვნების წარმოდგენა.

მაგისტრს გააჩნია საჯარო პოლიტიკის სფეროში არსებული საზოგადოებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. მაგისტრი კრიტიკულად აფასებს ამა თუ იმ პოზიციას, შეიმუშავებს საკუთარი განსხვავებული შეხედულება და ლოგიკურად დაიცვას და დაასაბუთოს ის. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი კრიტიკულად აფასებს განხორციელებულ სამუშაოს, მის შესაბამისობას დასახულ მიზნებთან მიმართებაში, ანზოგადებს მიღებულ შედეგებს. მაგისტრი ითვალისწინებს დაშვებულ შეცდომებს და ახდენს იდენტიფიცირებას იმ რისკ-ფაქტორების, რაც მნიშვნელოვანია მომავალი საქმინობის დაგეგმვის პროცესში. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრს აქვსს აბსტრაქტული აზროვნების უნარი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტირებული ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრს საჯარო პოლიტიკის სფეროში სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების გაანალიზების, მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის წარდგენისა და კომპეტენტური დასკვნის გაკეთების უნარი გააჩნია.

კომუნიკაციის უნარი:

მაგისტრს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის მაღალი უნარები გააჩნია და საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების ფორმულირებისა და შეთავაზების ეფექტური უნარით გამოირჩევა. მაგისტრს შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება ეფექტური კომუნიკაციისთვის როგორც საკუთარ, ისე ინგლისურ ენაზე. მას აქვს საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე შექმნილი ანალიტიკური დოკუმენტების ეფექტური წარდგენა და შეთავაზება და შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიების განსაზღვრა და განხორციელება.

მაგისტრი ითვისებს აკადემიური ნაშრომების მომზადების, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. მაგისტრს გააჩნია განსხვავებული აზრის გაგებისა და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში წამოჭრილი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. იგი ფლობს კრიტიკული შენიშვნების მომზადებისა და დებატებში ჩაბმის უნარს, აქვს კულტურა მოუსმინოს სხვის აზრს და დაასაბუთოს თავისი განსხვავებული პოზიცია. კვლევითი სტატიების, რეფერატების, ასევე კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებების დროს მაგისტრი ავლენს ცოდნის, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარს. საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფისა და მოსახლეობასთან მუშაობის უნარი. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას. სწავლისას მიღებული გამოცდილება მაგისტრს აძლევს შესაძლებლობას დასმული საკითხი არა მარტო საჯარო მოხელეთა შორის, არამედ ინტერდისციპლინურ გუნდშიც განიხილოს.

სწავლის უნარი:

მაგისტრი დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, და ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს. მას ინგლისურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავებისა და შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობები გააჩნია.

მაგისტრს აქვს დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული ზრდისკენ სწრაფვის უნარი, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. აქვს საჯარო პოლიტიკისა სხვადასხვა სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური სიახლეების და უახლესი მეცნიერული მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა, მოიძიოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია საჯარო ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე. საჯარო მმართველობის მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე და დაკავდეს აკადემიური საქმიანობით.

ღირებულებები:

მაგისტრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი ღირებულებათა სისტემა. ასევე აქვს უნარი შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, გაიზიაროს და პროფესიული საქმინობის ეთიკის ფარგლებში დაიცვას ორივე მხარის უფლებები. მაგისტრს გააჩნია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხიმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი.

მაგისტრი ერკვევა და იზიარებს საჯარო სამსახურის ეთიკას, აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგისტრი ითვისებს პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღების, კოლეგიალობის და ეთიკური დილემის

დროს ობიექტური მსჯელობისა და ანალიზის უნარს. მაგისტრი სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად და ორიენტირებულია წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვაზე; საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება

☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ

ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო სექტორში და საერთაშორისო ორგანიზაციებში (ეროვნული ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო, მსოფლიო ბანკი და ა.შ.). პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა ან პრაქტიკა საჯარო პოლიტიკის და საჯარო მმართველობის სხვადასხვა მიმართულებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების/საჯარო მმართვლობის სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტე-რული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვა-ნელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პე-რიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). სტუდენტებს საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა საუნივერსიტეტო სივრცის მიღმაც აქვთ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმი-საწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

სახელი და გვარი: დავით ჯანდიერი
პროფესორი

იეთიმ გურჯის ქ. #7ბ
თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: (995 32) 249 74 75
მობ: +995 599 706 377
e-Mail: d.jandieri@gipa.ge

პროგრამის ხელმძღვანელი:

სახელი და გვარი: ცირა ელისაშვილი
პროფესორი

იეთიმ გურჯის ქუჩა #7
თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: (995 32) 249 75 00
მობ: 599706377
e-Mail: ts.elisashvili@gipa.ge

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[1]	
				I წელი		II წელი			
				სემესტრი					
				I	II	III	IV	საკონტაქტო საათები[2]	დამოუკიდებელი საათები[3]
		სასწავლო კომპონენტი[4]							
		სავალდებულო სასწავლო კურსები		**14**	**31**	**17**			
1.	PP-I-001	არ გააჩნია	საჯარო სექტორის ეკონომიკა	7/175				42	133
2.	PP-I-002	არ გააჩნია	საჯარო მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა	7/175				42	133
3.	PP-II-001	არ გააჩნია	საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალი		6/150			36	114
4.	PP-II-002	არ გააჩნია	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები		7/175			48	127
5.	PP-II-003	არ გააჩნია	სტატისტიკა საჯარო მოხელეებისთვის		6/150			36	114
6.	PP-II-004	PP-II-001	ეთიკა საჯარო სამსახურში		5/125			30	95
7.	PP-II-005	PP-I-002	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		7/175			42	133
8.	PP-III-001	PP-I-001	საჯარო ფინანსები			6/150		36	114
9.	PP-III-002	PP-II-001	საგადასახადო სამართალი			6/150		36	114
10.	PP-III-003	PP-II-005	საჯარო პროექტების შეფასება			5/125		30	95
		არჩევითი სასწავლო კურსები		**7**	**6**	5			
1.	PP-a-001	არ გააჩნია	საჯარო გამოსვლები და ორგანიზაციული კომუნიკაცია	4/100				30	70
2.	PP-a-002	არ გააჩნია	ლიდერობა	3/75				20	55
3.	PP-a-003	არ გააჩნია	საარჩევნო ტექნოლოგიები და პოლიტიკური კვლევები		5/125			30	95
4.	PP-a-004	არ გააჩნია	პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება		6/150			36	114

[1] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[2] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[3] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

[4] საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის ან სხვა კომპონენტის სახით.

5.	STM224	არ გააჩნია	სახელმწიფო რისკების მართვა		4/100			36	64
6.	PP-a-005	PP-I-001 PP-I-002 PP-II-003 PP-II-005	რეგულირების გავლენის შეფასება			5/125		36	89
			არჩევითი სასწავლო კონცეტრაცია				**10**		
1	PP-ak-001	არ გააჩნია	ჯანდაცვის პოლიტიკა				10/250	60	190
2.	PP-ak-002	არ გააჩნია	კულტურის პოლიტიკა				10/250	60	190
3.	PP-ak-003	არ გააჩნია	გარემოს დაცვის პოლიტიკა				10/250	60	190
4.	PP-ak-004	არ გააჩნია	ეკონომიკური პოლიტიკა				10/250	60	190
5.	PP-ak-005	80 კრედიტი	პოლიტიკის ლაბორატორია				10/250	30	220
			კვლევითი კომპონენტი[5]				**30**		
1.	PP-dip-8	90 კრედიტი	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა				30/750		
			სემესტრში	**21**	**37**	**22**	**40**		
			წელიწადში	**58**		**62**			
			სულ	**120**					

[5] საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო სამაგისტრო ნაშრომის სახით

სწავლების შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		სავალდებულო სასწავლო კურსები						
1.	PP-I-001	საჯარო სექტორის ეკონომიკა	x	x	x	x	x	x
2.	PP-I-002	საჯარო მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა	x	x	x	x	x	x
3.	PP-II-001	საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალი	x	x	x	x	x	x
4.	PP-II-002	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	x	x	x	x	x	x
5.	PP-II-003	სტატისტიკა საჯარო მოხელეებისათვის	x	x	x	x	x	x
6.	PP-II-004	ეთიკა საჯარო სამსახურში	x	x	x	x	x	x
7.	PP-II-005	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	x	x	x	x	x	x
8.	PP-III-001	საჯარო ფინანსები	x	x	x	x	x	x
9.	PP-III-002	საგადასახადო სამართალი	x	x	x	x	x	
10.	PP-III-003	საჯარო პროექტების შეფასება	x	x	x	x	x	x
		არჩევითი სასწავლო კურსები						
1.	PP-a-001	საჯარო გამოსვლები და ორგანიზაციული კომუნიკაცია	x	x	x	x		
2.	PP-a-002	ლიდერობა	x	x	x	x	x	x
3.	PP-a-003	საარჩევნო ტექნოლოგიები და პოლიტიკური კვლევები	x	x	x	x	x	x
4.	PP-a-004	პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება	x	x	x	x		x
5.	PP-a-005	რეგულირების გავლენის შეფასება	X	X	X	X	X	X
6.	STM224	სახელმწიფო რისკების მართვა	X	X	X	X		X

		არჩევითი სასწავლო კონცეტრაცია						
1.	PP-ak-001	ჯანდაცვის პოლიტიკა	x	x	x	x	x	x
2.	PP-ak-002	კულტურის პოლიტიკა	x	x	x	x	x	x
3.	PP-ak-003	გარემოს დაცვის პოლიტიკა	x	x	x	x	x	x
4.	PP-ak-004	ეკონომიკური პოლიტიკა	x	x	x	x	x	
5.	PP-ak-005	პოლიტიკის ლაბორატორია	x	x	x	x	x	x

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	დავით ჯანდიერი			
თანამდებობა	საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	5 77 13 00 01	ელ-ფოსტა:	d.jandieri@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	**გამყოფი კედლების სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კონტექსტში**			
პუბლიკაციები	• „მოსაზრებები საქართველოს პროკურატურაში დაგეგმილ ცვლილებათა შესაბამისობის შესახებ ევროპულ სტანდარტებთან“, ,ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2015, N1 • „ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემატიკა“, ჟურნალი „სამართალი“, 2015, N1 • „მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აქტივობა კედლების კანონიერების თაობაზე", საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N2, 2015-N 1, 2016			

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ცირა ელისაშვილი			
თანამდებობა	საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	599706377	ელ-ფოსტა:	ts.elisashvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	**თბილისის ურბანული ფსიქოტიპი** (წერის პროცესში)			
პუბლიკაციები	• საჯარო მმართველობა საქართველოში - თანამედროვე ქეისები - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2014 წ. • კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის რევიზიის შედეგები - ტფილისის ჰამქრი. 2013 • ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო პრობლემები და სამართალდარღვევები - ტფილისის ჰამქარი 2013 წ. • კულლტურული მემკვიდრეობის საართლებრივი ჩარჩო; - "სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურული რესურსები" 2014 წ. • "გალაქტიონის ქ. # 24/21 ისტორიული კვლევა" - 2006 წელს დაფინანსებული "ძველი თბილისის" გამგეობა • არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი და ისტორიული ნაგებობების შეფასება რუსთაველის გამზირზე # 24, # 26, # 28 - 2006 წ. • "ძველი თბილისის ურბანული რეაბილიტაცია" - 2003 წ.			

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	არჩილ გერსამია	პროფესორი	• საჯარო სექტორის ეკონომიკა • საჯარო ფინანსები
2.	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	• საჯარო მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა
3.	მარინე იოსელიანი	პროფესორი	• საჯარო გამოსვლები და ორგანიზაციული ეკონომიკა
4.	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	• საჯარო პოლიტიკის ანალიზი
5.	მარიამ სეხნიაშვილი	ასისტენტ პროფესორი	• აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები
6.	ნინო ანთაძე	ასოცირებული პროფესორი	• აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები
7.	თამარ კობერიძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება
8.	თამარ ჟვანია	მოწვეული ლექტორი	• საარჩევნო ტექნოლოგიები და პოლიტიკური კვლევები
9.	მაია ზავრიშვილი	ასისტენტი	• ეთიკა საჯარო სამსახურში
10.	ჟანა ანთია	ასისტენტი	• სტატისტიკა საჯარო მოხელეებისათვის
11.	ცისანა ხუნდაძე	ასოცირებული პროფესორი	• სტატისტიკა საჯარო მოხელეებისათვის
12.	დავით ჯანდიერი	პროფესორი	• საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალი
13.	ლევან სამადაშვილი	მოწვეული ლექტორი	• საჯარო პროექტების შეფასება
14.	ზვიად როგავა	მოწვეული ლექტორი	• საგადასახადო სამართალი
15.	თინათინ ხიდაშელი	მოწვეული ლექტორი	• ლიდერობა
16.	თეა ლოლაძე	მოწვეული ლექტორი	• რეგულირების გვლენის შეფასება
17.	ნინო მირზიკაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის პოლიტიკა

18.	ქეთევან გოგინაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის პოლიტიკა
19.	ნინო კიკნაძე	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის პოლიტიკა
20.	მარინა ჩოხელი	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის პოლიტიკა
21.	ცირა ელისაშვილი	პროფესორი	• კულტურის პოლიტიკა
22.	რუსუდან წურწუმია	ასოცირებული პროფესორი	• კულტურის პოლიტიკა
23.	სულხან სალაძე	მოწვეული ლექტორი	• კულტურის პოლიტიკა
24.	ქეთევან გუჯარაიძე	მოწვეული ლექტორი	• გარემოს დაცვის პოლიტიკა
25.	თამარ გუგუშვილი	მოწვეული ლექტორი	• გარემოს დაცვის პოლიტიკა
26.	გიორგი ბაქრაძე	მოწვეული ლექტორი	• ეკონომიკური პოლიტიკა
27.	ნიკოლოზ ჯანჯღავა	მოწვეული ლექტორი	• სახელმწიფო რისკების მართვა